

## განმარტებითი ბარათი

„ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მიმართ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი წარმოადგენს „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმხლებ პროექტს და აზუსტებს სამხედრო-საჰაერო ძალების სტატუსს კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

სამხედრო-საჰაერო ძალების სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში ასახვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის მოქმედ რედაქციაში სამხედრო-საჰაერო ძალები მოხსენიებულია როგორც ცალკე ჯარის სახეობა. ცვლილებით ხდება სამხედრო-საჰაერო ძალების სტატუსის განსაზღვრა. კერძოდ, როგორც სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში მყოფი ქვედანაყოფი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:  
წარმოდგენილი კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ვალდებულებებს;

დ.) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არ გამართულა კონსულტაციები არც ერთ ზემოთხსენებულ დაწესებულებასთან თუ ექსპერტებთან;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:  
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი  
საქართველოს მთავრობა